დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, აბო თბილელის №3-ში აღსადგენი შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

აღსადგენი შენობა მდებარეობს ქ. თბილისში, აბო თბილელის №3-ში.

საპროექტო შენობის სამშენებლო უბანი ხასიათდება შემდეგი მახასიათებლებით:

სამშენებლო მოედნის სეისმიურობა - 9 ბალი

ქარის ნორმატიული დატვირთვა - 0.48 კპა

თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 0.50 კპა

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის მიხედვით, რომელიც ჩატარებულია შპს "ახალი საქქალაქმშენპროექტის" საინჟინრო კვლევების განყოფილების მიერ, საძირკვლის ფუძედ მიღებულია V სბე– ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანები, წარმოდგენილი თიხოვანი ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობით.

კომპიუტერული ანგარიშის მიხედვით, საპროექტო შენობის დაფუძნება ხდება ძირითად ქანებზე (V სბე) ბურღვით-ნატენი საყრდენი ხიმინჯებით, ქანში შესვლით არანაკლებ 0.5 მ-ისა, რაც თავისთავად ნიშნავს იმას, რომ შენობიდან მოსული ყველა საანგარიშო დატვირთვა (სტატიკური და არასტატიკური) საყრდენი ხიმინჯების საშუალებით გადაეცემა ძირითად ქანებს, შესაბამისად საპროექტო შენობიდან მოსული დატვირთვები ვერანაირად ვერ იმოქმედებს მომიჯნავედ არსებულ შენობებზე, მიუხედავად მათი დაფუძნების პირობებისა (წერტილოვანი საძირკვლები, ურთიერთგადამკვეთი საძირკვლის კოჭები, ერთიანი მონოლითური ფილა და ა. შ.) და საძირკვლების ჩაღრმავებისა.

ინჟინერ-კონსტრუქტორი /ბ. ჯუგაშვილი/